დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი,,

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30 და 31 იანვარი, 2023წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 მარტი, 2023წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი,,
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220389559

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ.ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ქ. ზუგდიდი, ცაიშვილის ქ. N32
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, ცაიშვილის ქ. N32
საფოსტო ინდექსი	2100
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gg-school.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	gg.zugdidi@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 595 111 888
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო ჭიჭინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 593 15 12 26
ელ-ფოსტა	chichinadzenn@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2023 წლის 13 იანვრის ბრძანება MES 5 23 0000022227 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 და 31 იანვარი, 2023წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში
წევრი (სახელი, გვარი)	მაგდა ბარამაძე
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.*	*სკოლის შენობის მე - 3 და მე - 4 სართულზე განლაგებულია მოწვეული მასწავლებლებისათვის და/ან ტრენერებისათვის განკუთვნილი სასტუმრო, რომლებშიც განთავსებულია საძინებლები და მოსასვენებელ ოთახები. ზემოაღნიშნული სივრცე არ არის გამიჯნული. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოება არ არის დაცული.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*1. ასახოს მისია შესაბამის დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმაში, დებულებაში და 2022-2028 წლის სამოქმედო გეგმაში) სკოლის მიე დადგენილი, ერთიანი ფორმულირებით;* *2. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენლობა მოვიდეს თანხვედრაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის", 21-ე მუხლის, მე - 4 პუნქტით წარმოდგენილ რეგულაციებთან;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		3. კორექტირებულ იქნას საათობრივი ბადე - დაზუსტდეს თითოეული დისციპლინისათვის საათების განაწილება კლასების მიხედვით, პედაგოგთა პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე (რეკომენდაციის საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის“ 23-ე მუხლის, პირველი პუნქტი).
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.8*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეადგინოს დეტალური SWOT ანალიზი, სტრატეგიული მიზნების პრიორიტეტულობის და რელევანტურობის განსასაზღვრად. სამოქმედო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს სტრატეგიული გეგმიდან და ითვალისწინებდეს მიმდინარე სასწავლო წლის პრიორიტეტებს. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შედგენაში ჩართული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2.9.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.4.*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მოახდინოს ცვლილებები - უზრუნველყოს საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის განკუთვნილი ვალდებულებების კორექტირება, ,,ხელშეკრულების საგანში,, მითითებულ იქნას პედაგოგის სტატუსი.*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	ჯიჯი გიმნაზიის მისიაა მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე და მომავლის მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების, ისეთი აკადემიური განათლება, რომელიც დაეხმარება მათ წარმატების მიღწევაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

შენიშვნა: შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 250 მოსწავლით და შესაბამისი მერხების რაოდენობა სკოლას ფიზიკურად ჰქონდა წარმოდგენილი. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებით, 55 კომპლექტი მერხის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი საკლასო ოთახის/ოთახების მოწყობის რესურსი სკოლის შენობას გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სკოლის წერილში N01-02/131, 31.01.2023წ., (ადრესატი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), დაწესებულება გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 300 (სამასი) ერთეულით.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, (შემდგომში სკოლა/დაწესებულება) სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა დირექტორის 2022 წლის 05 სექტემბერის N01-04/04 ბრძანებით. დოკუმენტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: 1. ჯიჯი გიმნაზიის ხედვა და მისია; 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება და ძირითადი პრინციპები; 3. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; 4. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; 5. ჯიჯი გიმნაზიის სასკოლო საათობრივი ბადე; 6. სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად; 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/ჩარჩო სსსმ მოსწავლეთათვის; 8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება; 9. სადამრიგებლო პროგრამა/პროგრამები; 10. პროფორიენტაციის შეხვედრები და განრიგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	11. სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები; 12. არჩევითი საგნები და გიმნაზიის პროექტები. **სკოლის მისია** - ჩანაწერის თანახმად, ორიენტირებულია მოზარდს განუვითაროს ,,თანამედროვე და მომავლის მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებების“ აკადემიური განათლება. ინტერვიუირების პროცესში სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ზემოაღნიშნულ დისციპლინებში სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა (,,ჭკვიანი დაფები“ და თანამედროვე სტანდარტების მქონე ლაბორატორია), დამატებით შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს სიღრმისეულად დაეუფლონ ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებს. გარდა ამისა, სკოლას დამატებული აქვს აბიტურის საათები ზემოაღნიშნულ საგნებში დამამთავრებელ კლასში. სკოლის გარკვეულ დოკუმენტებში, მისია არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან (მაგ. განსხვავებული ვერსიაა მისიის - შპს „ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ დებულებაში, აგრეთვე, დაწესებულების განვითარების გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში (2022-2028წ.). სკოლას მიეცა რეკომენდაცია ასახოს მისია შესაბამის დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმაში, დებულებაში და 2022-2028 წლის სამოქმედო გეგმაში) დაწესებულების მიერ დადგენილი, ერთიანი ფორმულირებით. **სასკოლო-საათობრივი ბადე** - შეიცავს მონაცემებს კლასებისა და საათების განაწილების შესახებ მასწავლებელთა შორის. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ დამატებით წარმოადგინა თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგი, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. სკოლის საათობრივი ბადე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ III მოდელს. კერძოდ, საათობრივ ბადეში შემდეგი ცვლილებებია: მეორე კლასში ისწავლება ჭადრაკი, მეორე უცხოური ენის სწავლება მესამე კლასიდან ხორციელდება. გაზრდილია უცხოური ენების საათობრივი დატვირთვაც. საათობრივ ბადეში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვხვდებით აბიტურის საათებს გარკვეულ დისციპლინებში. როგორც გაირკვა, სკოლას არ ჰქონდა შეთანხმებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი შესაბამის დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლამ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზეც, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში, მათ შორის საათობრივ ბადეში, წარმოდგენილია მასწავლებელთა პერსონალური მონაცემები და მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას რეკომენდაციით - დოკუმენტის ფორმატის კორექტირების საკითხთან დაკავშირებით. **სასწავლო პროცესის ორგანიზება და ძირითადი პრინციპები** - დაწესებულებაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრულია - 22 მოსწავლით. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში არ ფუნქციონირებდა VI და VIII კლასები. IX და X კლასის მოსწავლეები, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფებს მიკუთვნებული საგნების გაკვეთილებზე, გაერთიანებულნი არიან კლას-კომპლექტებში, მოსწავლეთა არსებული რაოდენობის გამო (შესაბამისად, 9 და 5 მოსწავლე). გაკვეთილის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 45 წუთით. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს გახანგრძლივებულ სწავლებას და ორჯერად კვებას ორ, 30 წუთიან შესვენებაზე. **გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. როგორც ირკვევა - სახელმძღვანელოებს ირჩევენ მასწავლებლები/კათედრები. პედაგოგიური საბჭო კლასების, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს კათედრების მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნობრივი კათედრები - დაწესებულებაში ფუნქციონირებს 5 კათედრა. კერძოდ: 1. სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის კათედრა; 2. უცხოური ენების კათედრა; 3. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; 4. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 5. სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრების მუშაობა რეგულირდება საგნობრივი კათედრის მუშაობის ზოგადი დებულებით, რომელიც 2022-2023 სასწავლო წლისთვის განახლებული სახით არის წარმოდგენილი. დოკუმენტის თანახმად, კათედრის მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს: • სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება; • საგნობრივი სასწავლო გეგმების შემუშავება; • სკოლის ხედვისა და მისიის ფორმირება; • სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება; • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება; • საგანმანათლებლო რესურსების ეფექტურად შერჩევა. როგორც ირკვევა, შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის,, საგნობრივი კათედრების წევრების თანამშრომლობა არის ერთობლივად შემუშავებული და დროში გაწერილი საქმიანობების გეგმა, რომლის მთავარი სამიზნე მოსწავლეები არიან და ითვალისწინებს: • სამოდელო და ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას; • რუბრიკების შედგენას განმავითარებელი შეფასებისთვის; • მასწავლებლების მიერ შექმნილ დამატებითი რესურსებს; • ერთობლივ პროექტებს და კვლევებს; • მოსწავლეთა ჩართულობისკენ და მათი მოტივაციის გაზრდისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ექსპერტებმა განიხილეს საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები, სადაც კურიკულუმების, მატრიცების, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშების გარდა, წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრია ანგარიშები და ამის საფუძველზე, დაგეგმილი შემდგომი ინტერვენციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არსებული დოკუმენტაციის მიმოხილვის და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საგნობრივი კათედრები სკოლაში ქმედითი რგოლია და განსაზღვრავს სასწავლო პროცესის შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ ნაწილს. **სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია** - სკოლაში ფუნქციონირებს ტუტორ-დამრიგებლის ინსტიტუტი. დოკუმენტის თანახმად, ტუტორ-დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი. და ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვირდრებას, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას; ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებაში. სადამრიგებლო პროგრამის ამოცანაა საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დააყენოს თითოეული მოსწავლე და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით განუვითაროს მათ ზოგადი და აკადემიური უნარები. ინტერვიუირების დროს მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეების პიროვნული და ზნეობრივი შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნულს ადასტურებს შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ 2022 – 2023 სასწავლო წლის სადამრიგებლო პროგრამები, აგრეთვე, ტუტორ-დამრიგებელთა მუშაობის დებულება, სადაც გაწერილია ტუტორ დამრიგებლების მოვალეობები, ვალდებულებები, მუშაობის პრინციპები, რეკომენდაციები სადამრიგებლო საათის პროგრამების განხორციელებისათვის და ა.შ. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს სასკოლო-სასწავლო გეგმის ფორმატზე და მოცულობაზე და რეკომენდაციით მიმართეს დაწესებულებას - სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები განესაზღვრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	,,ეროვნული სასწავლო გეგმა'', 21-ე მუხლის, მე - 4 პუნქტის შესაბამისად. დოკუმენტში კურიკულუმების და კომპლექსური დავალებების ნიმუშების არსებობა, აისახება მის მოცულობაზეც (341 გვერდი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N3, 30.01.2023წ. - სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; • საგნობრივი კათედრის მუშაობის ზოგადი დებულება; • ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის" ტუტორ-დამრიგებელთა მუშაობის დებულება, • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა (I – X კლასები). პროცესის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან საგნობრივი ექსპერტები, რომლებიც ამ მიმართულებით სკოლის დანარჩენი პედაგოგების კონსულტირებას და მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. XI-XII კლასების მოსწავლეებისთვის შედგენილია თემატური გეგმები. სკოლის მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და ინტერაქტიული გახდა. სკოლის მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს, მრავალფეროვანი და მიზნობრივია. კომპლექსური დავალებებში საგანთა ინტეგრირება სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა. სხვადასხვა საგნების პედაგოგები ხშირად მიმართავენ ამ გზას. ინტერვიუირების დროს მასწავლებლებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები ჩატარებული, ინტეგრირებული აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სკოლა ახორციელებს ჩატარებული კომპლექსური დავალებების ანალიზს და შემდეგი კომპლექსური დავალების დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლ გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ: ჭადრაკი - II კლასში; ქართული ცეკვა- I - VII კლასებში; სპორტი/ცურვა -I - VII კლასებში; გერმანული - V-IX კლასები. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პროგრამები, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო მომსახურების სახე, მიზნები, შედეგები, შედეგების მიღწევის ინდიკატორები და დადასტურების წყარო. გარდა ამისა, თემები და აქტივობები, რომლებსაც სთავაზობს სკოლა აღნიშნული მომსახურების ფარგლებში მოსწავლეებს. სკოლაში თვითმმართველობა ერთ-ერთი ძლიერი რგოლია. სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, მოსწავლეები არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალფეროვან აქტივობებში არიან ჩართულნი - ,,რა, სად, როდის?“, ,,სკოლბურთი“, ,,ფილმის ჩვენების დღე'' (ჩვენება, განხილვა, ანალიზი) და ა.შ. პროექტული სწავლებაც ეფექტურად ხორციელდება სკოლაში. ინოვაციური პროექტი, რომელიც გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, სკოლაში განხორციელებული ერთ-ერთი ბოლო პროექტია. ინტერვიუირებისას მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნავდნენ, რომ შედეგად, მათ უკეთ გააცნობიერეს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, გაიაზრეს მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, ჩამოუყალიბდათ სწორი დამოკიდებულება გარემოს მიმართ. სკოლა ორგანიზებას უწევს საზაფხულო, საერთაშორისო ბანაკებს. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო ვიდეო და ფოტო მასალა, რომლებიც ნათლად ასახავს იმ მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც შეთავაზებული იყო მონაწილეთათვის. დაწესებულებაში IX კლასში ტარდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების/შეხვედრების განრიგი. დაგეგმილი აქტივობები ემსახურება მოსწავლეების ინფორმირებას გარკვეული პროფესიების/ სპეციალობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, სასკოლო სასწავლო გეგმა; • საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, საგნობრივი კათედრების ანგარიშები; • საერთაშორისო ბანაკების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასკოლო-სასწავლო გეგმით. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე გაირკვა, რომ სასკოლო-სასწავლო გეგმაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები, არ არის შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. კერძოდ, ექსპერტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეკომენდაციის საფუძველზე, შევიდა ცვლილება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილში და დაზუსტდა განმარტება სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის თაობაზე. გარდა ამისა, იდენტიფიცირების ნაწილში დაემატა გარკვეული საკითხები. კერძოდ, სსსმ მოსწავლეების სტატუსის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა საჭიროება, რომელიც მოსწავლეებს აღენიშნებათ სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეებით სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, აგრეთვე, ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეებით. სკოლამ დაამტკიცა ინკლუზიური განათლების კონცეფცია და სრულ შესაბამისობაში მოიყვანა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეიცვალა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმაც. ვინაიდან, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე არ ირიცხება, ინდ. გეგმის ნიმუში დოკუმენტის დანართად არის წარმოდგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N3, 30.01.2023წ. - სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის მიმდინარეობისას შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზიაში - ჯიჯი,, სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობა შეფასების პრინციპებთან დაკავშირებით. კერძოდ, არ იყო მითითებული, რომ V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმსაზღვრელი შეფასებით. არ იყო დაკონკრეტებული მიმდინარე საშინაო დავალების კომპონენტში, რომელ კლასში ფასდება მოსწავლე (VII-XII), გარდა ამისა, მოქმედი რედაქციის თანახმად, მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებს დადებით შეფასებას, მიიღებს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება და **ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტი, რომელიც შეფასების ნაწილში სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.** კორექტირება განიცადა, აგრეთვე, ჩანაწერმა სემესტრული გამოცდების ჩატარების ვადების შესახებ. ინტერვიუირებისას სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ რეალურად, შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა, თუმცა, არ იყო ასახული სასკოლო-სასწავლო გეგმაში. აღნიშნულს ადასტურებს ,,საგნობრივი კათედრის მუშაობის ზოგადი დებულება,,, სადაც შეფასების ნაწილი სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში გამოიყენება შემაჯამებელი დავალებების შემდეგი ფორმები: თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვა. დადგენილია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესიც, კერძოდ, თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა აძლევს საშუალებას მისი გიმნაზიაში გამოცხადებიდან 5 საგაკვეთილო დღის ვადაში, შეასრულოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება, მასწავლებელთან შეთანხმებულ დროს იმავე ფორმით, როგორი ფორმითაც შეასრულა მთლიანმა კლასმა. სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა დისციპლინების შესაბამისად, და რიგ შემთხვევაშიც, ჩატარების ზუსტი ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რის საფუძველზე დგება პერსონალური რეკომენდაციები მოსწავლეებისათვის, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. თითოეულ საგნობრივ კათედრაზე შემუშავებულია შეფასების, პრინციპები, მათ შორის შეფასების კრიტერიუმები. შეფასების კრიტერიუმები გამჭირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა როგორც ინტერვიუირების პროცესში, ისე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, სასკოლო სასწავლო გეგმა; • შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N3, 30.01.2023წ. - სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; • კომპლექსური დავალების ნიმუშები; • საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მშობლის ინფორმირების ვალდებულება ტუტორ დამრიგებლების პირდაპირი მოვალეობაა. მოსწავლეთა კანონიერ წამომადგენლებს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია როგორც მათი შვილების აკადემიური მოსწრების, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. როგორც ირკვევა, ტუტორ დამრიგებელი მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს განიხილავს. დოკუმენტის თანახმად, დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. სკოლის გაცდენის შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია, გაიგოს გაცდენის მიზეზი. დამრიგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერიოდულად გადის კონსულტირებას საგნის მასწავლებლებთან სადამრიგებლო კლასში მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატებების შესახებ. სასწავლო წლის დასრულებისას, იგი აჯამებს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას, ახორციელებს გაკვეთილზე დასწრების და ქცევის ანალიზს, რის საფუძველზეც ადგენს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც წარმოდგენილია მოსწავლის ძლიერი მხარეები, მის წარმატებები როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში. ტუტორ დამრიგებლების ფუნქცია მოვალეობები რეგულირდება, აგრეთვე, ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ დებულებითაც, სადაც გაწერილია მოსწავლის მშობლების ინფორმირების გზები. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს ,,SchoolBook,,, რომელიც საშუალებას აძლევს მშობელს მოიპოვოს ინფორმაცია მისი შვილის გაცდენა/დასწრების, ნიშნების, დავალებების, საბოლოო ქულების, რეიტინგების და ნიშნების ფურცლების თაობაზე. როგორც ინტერვიუირებისას აღმოჩნდა, მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, რისთვისაც სკოლაში იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები, აქტივობები თუ პროექტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ ტუტორ-დამრიგებელთა მუშაობის დებულება; • შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ დებულება; • ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალით სარგებლობის თაობაზე; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ შედგენილი აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს და ითვალისწინებს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას, მათ განხილვას. ანალიზის/წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე ხორციელდება რეკომენდაციების შემუშავება ახალი, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მოსამზადებლად. კერძოდ, დაგეგმილ ღონისძიებებს შორისას: დიაგნოსტიკური შეფასების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა, შედეგების განხილვა, შესაბამისი ანგარიშის მომზადება, გაკვეთილებზე დასწრება და შემდგომი რეფლექსია, ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მაჩვენებელი, შედეგების ანალიზი და ა.შ. დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებსაც და თანდართულ კითხვარებს, რომლებიც განკუთვნილია როგორც მასწავლებლებისათვის, ისე მშობლებისთვის. მაგალითად, მშობელთა კითხვარში ერთ-ერთი საკვლევი თემაა - სკოლის სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი პროგრამები და მათი გავლენა მოსწავლეებზე, ასევე, სკოლის შეფასების სისტემა - მოსწავლის შეფასების რუბრიკების ეფექტიანობის განსაზღვრა და ა.შ. როგორ გაირკვა, კითხვარის შედეგები განიხილება დირექციის მიერ, აგრეთვე, საგნობრივ კათედრებზე, რის საფუძველზეც ხორციელდება პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი, და რეაგირების ფორმების შერჩევა. სადამრიგებლო პორტფოლიოებშიც, პრობლემები იდენტიფიცირებულია და კონკრეტული რეკომენდაციებია წარმოდგენილი თითოეული მოსწავლის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები; • მასწავლებელთა და მშობელთა კითხვარები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; • დამრიგებლების პორტფოლიოები; • ინტერვიუირება სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი,, მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში, მისამართზე: ცაიშვილის ქ. N32. საკადასტრო კოდი: 43.31.50.002. მესაკუთრესა და სკოლის დირექტორს შორის 2017 წლის 19 მაისს გაფორმებულია საკუთრების მინდობის ხელშეკრულება (ტრასტი) N1, რომლის საფუძველზეც სკოლას აქვს გადმოცემული ფართი. მოქმედების ვადა სრულდება 2023 წლის 24 თებერვლამდე. დაწესებულებას შენობის იჯარით სარგებლობის შესახებ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2022 წლის 3 ოქტომბერს: იჯარის ხელშეკრულება NGG-3/22, რომელიც ძალაში შედის 2023 წლის 24 თებერვალს. ხელშეკრულება გაფორმებულია 12 წლის ვადით. შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: • შენობა-ნაგებობა N1 განაშენიანების ფართი - 1869,46 კვ.მ მათ შორის (მ.შ. საერთო ფართი I სართულზე 1627.84 კვ.მ. საერთო ფართი II – 1288.08 კვ.მ საერთო ფართი III სართუზე 354.84 კვ.მ საერთო ფართი; IV სართულზე - 145,84 კვ.მ.) • N2 განაშენიანების ფართი 56,8 კვ.მ საერთო ფართი - 41,91 კვ.მ. N1 შენობა ოთხსართულიანია. შენობაში სართულების მიხედვით განთავსებულია ოთახები სასწავლო და სხვა დანიშნულებისთვის. I სართულზე განთავსებულია: • შენობაში შესასვლელთან მოწყობილია არაფორმალური აქტივობებისთვის და მოსწავლეებისთვის სარელაქსაციო/დასასვენებელი სივრცე, დეკორატიული ბიბლიოთეკა, ჭადრაკის მოედანი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლის ფოიე, 5 საკლასო ოთახი, დირექციის სამუშაო ოთახი, 1 კომპიუტერული ლაბორატორია, სასადილო სივრცე და სამზარეულო, 1 ექიმის ოთახი, 1 ბიბლიოთეკა მცირე სამკითხველო სივრცით, 1 სააქტო/სპორტული დარბაზი (ივენთ ჰოლი). პირველი სართულიდან დერეფნის ბოლოს არის გასასვლელი, რომელიც უერთდება სპორტულ სივრცეს, სადაც განთავსებულია საცურაო აუზი, გასახდელებით, საშხაპეებით. ამავე სივრცეში განთავსებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, რომელიც ადის სატრენაჟორო დარბაზში. საცურაო აუზს აქვს ასევე ალტერნატიული შესასვლელი. სკოლის დირექციის განმარტებით საცურაო აუზს იყენებენ მხოლოდ საგაკვეთილო პროცესებისთვის, დანარჩენი დროის მანძილზე გაიჯარებულია და ვიზიტორები სარგებლობენ ალტერნატიული შესასვლელით. ამ შესასვლელით სარგებლობს როგორც საცურაო აუზის, ასევე სატრენაჟორო დარბაზის მომხმარებლები. ამასვე ადასტურებს საცურაო აუზთან განთავსებული სარეგისტრაციო ზონა (ე.წ. ,,რეცეფშენი,,), რომელიც ემსახურება როგორც საცურაო დარბაზის, ასევე სატრენაჟორო დარბაზის ვიზიტორებს. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მოსწავლეები არ სარგებლობენ სატრენაჟორო დარბაზით და მხოლოდ საცურაო აუზით სარგებლობენ საგაკვეთილო პერიოდში. ვიზიტზე ყოფნის დროს გამავალი კარი ჩაკეტილი იყო. დირექციის განმარტებით, ამ პერიოდში საცურაო დარბაზით სკოლის მოსწავლეები არ სარგებლობდნენ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვინაიდან იყო ზამთრის პერიოდი და გავრცელებულია სხვადასხვა ვირუსი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2022 წლის 1 სექტემბრის N01/22 ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია -ჯიჯი“ სა და ინდ. მეწარმე ზურაბ ბერულავას შორის. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარე (ჯიჯი) 600 კვ.მ სპორტულ სივრცეს აუზს და ფიტნეს ცენტრს (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით (სპორტული ინვენტარი და დანადგარები) გადასცემს მოიჯარეს (ინდ. მეწარმეს). ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტში იკითხება, რომ ,,მოიჯარე ვალდებულია უანგაროდ ჩაატაროს სპორტის გაკვეთილები ჯიჯი გიმნაზიის მოსწავლეებისთვის“. სხვა დამატებითი ინფორმაცია : სარგებლობის წესი მოსწავლეებისთვის, მოსწავლეების უფლებები, გაკვეთილების ხანგრძლივობა, გაკვეთილების სიხშირე ან უსაფრთხოების წესები და ა.შ. ხელშეკრულებით ვერ დგინდება. პირველ სართულზე ასევე განთავსებულია სააქტო სპორტული დარბაზი - ივენთ ჰოლი. ეს არის კომფორტულად მოწყობილი, რბილი სკამებით და ამფითეატრით აღჭურვილი მაღალჭერიანი სივრცე. ივენთ ჰოლი აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით: აკუსტიკური და განათების სისტემებით. სკოლისგან თავისუფალ დროს სკოლა იჯარით გასცემს ივენთ-ჰოლს სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებებით და ივენთ-ჰოლის დებულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	II სართული - 8 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, მცირე ღია ტერასა სასწავლო სივრცე; III სართული - 3 ოთახი მოწვეული მასწავლებლებისთვის/ტრენერებისთვის, 3 ოთახი სასაწყობო სათავსოები; IV სართული - 4 ოთახი მოწვეული მასწავლებლებისთვის/ტრენერებისთვის, სველი წერტილები, სათავსო ტექსტილის შესანახი სივრცე. N2 შენობა წარმოადგენს სკოლის ჭიშკართან მდებარე პატარა ერთსართულიან ნაგებობას, რომლიდანაც კონტროლდება სკოლის ეზოში შესასვლელი კარი.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ ზუგდიდში, მისამართზე: ცაიშვილის ქ. N32
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 43.31.50.002
კვ.მ.	**იჯარით აღებული ფართი:** 5517.00 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2. საკუთრების მინდობის ხელშეკრულება (ტრასტი) N1 19.05.2017 წელი; 3. იჯარის ხელშეკრულება NGG-3/22 3.10.2022 წელი. 4. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა განთავსებულია ოთხ სართულიან შენობაში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ სართულზე. ორ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ასევე განთავსებულია ადმინისტრაციული ოთახები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის შესაფერისი სივრცეები. I სართული - განთავსებულია ფოიე, 5 საკლასო ოთახები, დირექციის სამუშაო ოთახი, 1 კომპიუტერული ლაბორატორია, სასადილო სივრცე და სამზარეულო, 1 ექიმის ოთახი, 1 სააქტო/სპორტული დარბაზი (ივენთ ჰოლი). II სართული - 8 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, 1 ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო სივრცე, ღია ტერასა სასწავლო სივრცე, ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია ინდივიდუალური, კომფორტული მერხები და სკამები. მერხების ფორმა იძლევა საშუალებას მოსწავლეები კომფორტულად გადაეწყონ ჯგუფურ სამუშაოებზე. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია ჭკვიანი დაფა, ვიზიტის პერიოდში, გაკვეთილების მსვლელობისას, მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში. ყველა საკლასო ოთახში მოწყობილია საგამოფენო სივრცე, განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, ასევე მასწავლებლის მაგიდები, დაფები, კარადები და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის სხვა აუცილებელი ინვენტარი. III სართული - 3 ოთახი მოწვეული მასწავლებლებისთვის/ტრენერებისთვის, ოთახებში განთავსებულია საძინებელი გარნიტურები და აღჭურვილია სველი წერტილებით. 3 ოთახი სასაწყობო სათავსოები - მათში განთავსებულია სხვა დასხვა სახის მარაგები; IV სართული - 4 ოთახი მოწვეული მასწავლებლებისთვის/ტრენერებისთვის. ამ ოთახებშიც განთავსებულია საძინებელი გარნიტურები და აღჭურვილია სველი წერტილებით, მეოთხე სართულზევე არის განთავსებული ტექსტილის შესანახი სათავსო. აღსანიშნავია, რომ მესამე/მეოთხე სართული არ არის გამიჯნული პირველი და მეორე სართულისგან, სადაც მიმდინარეობს უშუალოდ სასწავლო პროცესი. მესამე სართულის ჰოლიდან პატარა აივანი გადის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იმ ღია ტერასაზე, სადაც მოსწავლეების არაფორმალური აქტივობების სივრცეა განთავსებული. გარდა ამისა მესამე სართულის ოთახებიდან შესაძლებელია ივენთ ჰოლში გადახედვა, ანუ ეს ორი სივრცე (საძინებელი ოთახები და ივენთ ჰოლი) უერთდება ერთმანეთს. **სულ დაწესებულებაში არის 13 საკლასო ოთახი.** მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია 22 მოსწავლე), ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი მერხები. თუმცა, ვინაიდან სკოლას აქვს სურვილი მოსწავლეთა რაოდენობა გაზარდოს 300 მოსწავლემდე ესაჭიროებათ დამატებით როგორც ინვენტარი (კონკრეტულად მერხები და სკამები), ასევე, დამატებითი ერთი ოთახი მაინც. სკოლის დირექციის განმარტებით თავისუფალი სივრციდან ისინი რამდენიმე ოთახის გადაკეთებას აპირებენ საკლასო ოთახად. ამ ეტაპზე, შენობას ამის საკმარისი რესურსი აქვს. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 55 კომპლექტი მერხის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ე.წ. ზედნადები) და ამ კომპლექტების სკოლისთვის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების ოქმი, რომელიც თარიღდება 30.01.2023 წლით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოთხების რაოდენობა და შენობის რესურსი აკმაყოფილებს სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას (300 მოსწავლე). სკოლის განმარტებით, იგეგმება მესამე - მეოთხე სართულის ოთახების გამოყენება სასწავლო სივრცეებად. **მერხებისა და სკამების რაოდენობა:** 250 – მერხი; 250 – სკამი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დამატებით, 55 კომპლექტის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც, საერთო ჯამში, 300 მოსწავლეს უზრუნველყოფს შესაბამისი მერხების და სკამების ოდენობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შიდა აზომვითი ნახაზი; 2. სასკოლო ინვენტარის, მერხებისა და სკამების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**დარბაზი** - დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია ივენთ ჰოლი. დირექციის განმარტებით, ამ სივრცეში უამინდობის დროს ტარდება სპორტის გაკვეთილები. ვიზიტის პერიოდში ივენთ ჰოლში განთავსებული იყო სკამები. დაწესებულების განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სკამების ერთმანეთში ჩალაგება და შემდგომ დარბაზის კედლებთან განთავსდება და მასწავლებლებს აქვთ საშუალება სივრცე გამოიყენონ სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. აღიშნული ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროს. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სპორტის გაკვეთილები სწორედ ამ სივრცეში უტარდებათ უამინდობის დროს, ასევე აღწერეს აქტივობები, რითაც დაკავებულნი არიან სპორტის გაკვეთილებზე. სკოლის ეზოში განთავსებულია მულტიფუნქციური **სტადიონი.** განთავსებულია როგორც კალათბურთის ფარები, ასევე, ფრენბურთის ბადე და ფეხბურთის კარებები. მოედნის მიმდებარედ განთავსებულია ტრენაჟორები. აქვე, სტადიონთან განთავსებულია სასაწყობე კარადა, სადაც განთავსებულია სკოლის მიერ შეძენილი სხვადასხვა სპორტული ინვენტარის ნაწილი: ბურთები (რაგბი, ფეხბურთი, ფრენბურთი), ჰულა-ჰუპი, სახტუნაო, ბურთები ტანვარჯიშისთვის. მოსასვენებელ ზონაში განთავსებულია დეკორატიული დიდი ზომის საჭადრაკო დაფა, რომელსაც მოსწავლეები იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ასევე სკოლას აქვს **საცურაო აუზი,** რომელიც იჯარით არის გაცემული. ამას ადასტურებს იჯარის ხელშეკრულება N01/22 01.09.2022 წელი. ხელშეკრულების 2,3 მუხლის თანახმად: ,,მოიჯარე“ ვალდებულია უანგაროდ ჩაატაროს გაკვეთილები ,,ჯიჯი“ გიმნაზიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებისთვის. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ,,ჯიჯი გიმნაზიის დირექტორის მიერ N01.04 ბრძანებით დამტკიცებული ,, დებულება საცურაო აუზის ფუნქციონირების შესახებ", სადაც, მეორე მუხლში გაწერილია აუზის ფუნქციების ორგანიზება. ამავე დებულების მეოთხე მუხლში გაწერილია ცურვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მეორე სართულზე ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებულია სადემონსტრაციო კარადები შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური მასალით, ლაბორატორია აღჭურვილია ჯგუფური ლაბორატორიული სამუშაო მაგიდებით. ყველა მაგიდა აღჭურვილია ონკანით. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. აქვს გამწოვი კარადა, ქიმიური ნივთიერებები ინახება ცალკე მოწყობილ სათავსოში, ასევე ლაბორატორიაში განთავსებულია სპეციალური ნივთიერებების შესანახი კარადა, რომელიც იკეტება. არის ბუნებრივი განათება. განთავსებულია ასევე სადემონსტრაციო საშუალებები. კერძოდ, განთავსებულია ჭკვიანი დაფა. ლაბორატორიაში წარმოდგენილია ფიზიკის სამუშაო ინდივიდუალური კომპლექტები თითოეული მოსწავლისთვის. მაგალითად ელექტროობის კომპლექტი, მექანიკის კომპლექტი და ა.შ. ასევე განთავსებულია კარადებში ქიმიური ჭურჭელი, რეაქტივები, რომლებიც უსაფრთხოდ არის შენახული. სხვადასხვა ბიოლოგიური სიმულატორები, მულაჟები, თვალსაჩინოებები. სადემონსტრაციო საშუალებები და ა. შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ლაბორატორიის კედლები აღჭურვილია სხვადასხვა თემატური პლაკატებით, ღია კარადებში განთავსებულია მოსწავლეების მიერ აწყობილი, შექმნილი ნამუშევრები. ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება. დაწესებულებამ წარმოადგინა ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის წესი, რომელშიც ვიზუალური მასალებით, ტექსტური მითითებებითა და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით/სიმბოლოებით აღწერილია ლაბორატორიაში ქცევის, უსაფრთხოების დაცვისა და საგანგებო შემთხვევებზე (მოწამვლა, მავნე ნივთიერებების მოხვედრა კანსა და თვალში, და სხვ.) რეაგირების წესები. თვალსაჩინოდ არის გამოკრული ლაბორატორიის ოთახში. დაწესებულების პირველ სართულზე ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებული ინტერნეტის მუდმივ ქსელზე დაერთებული 10 პერსონალური კომპიუტერი, გამართულ მდგომარეობაში. ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ასევე განთავსებულია მრავალფუნქციური პრინტერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სარგებლობაში გადმოცემის დამდასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ლაბორატორიით სარგებლობის წესები; 3. ვიზუალური დათვალიერება; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას მიეწოდება მუდმივი წყალმომარაგება და სკოლა იხდის კომუნალურ გადასახადებს. ამას ადასტურებს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საბანკო ამონაწერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათებისა და განიავების საშუალება. ცხელი წყალი რეგულირდება დამონტაჟებული წყლის გამაცხელებლებით. საკლასო ოთახები თბება ცენტრალური გათბობის სისტემით, საქვაბე მეურნეობა განთავსებულია ეზოში. დაცულია რკინის ცხაურებით. გამათბობელი საშუალებები განთავსებულია ყველა საკლასო ოთახსა და კაბინეტში. სკოლის ოთხ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის, ორი ადაპტირებული საპირფარეშო სკოლის პირველ სართულზე. ადაპტირებული საპირფარეშოები არის როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის,.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. იჯარის ხელშეკრულებები, 2. გადახდის დამადასტურებელი ქვითრები; 3. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო მეორე სართულზე, დიდ დარბაზში. ამ დარბაზს ჰქონდა მულტიფუნქციური დანიშნულება. საბიბლიოთეკო სივრცე განთავსებული იყო გამავალ სივრცეში. ამ სივრცეში არ იყო შექმნილი კომფორტული გარემო მკითხველისთვის - არ ექნებოდათ განცალკევების საშუალება. ამიტომ სკოლას ექსპერტთა ჯგუფის მიერ განემარტა აღნიშნული საკითხი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მიიღო მყისიერი გადაწყვეტილება და ბიბლიოთეკა გადმოიტანა პირველ სართულზე . აქვე მოეწყო მცირე სამკითხველო დარბაზი. წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიბლიოთეკაში დაცულია 858 ერთეული. სახელმძღვანელოების რაოდენობაა 328 ცალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილია წიგნები ძირითადად ქართულ ენაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა მხატვრული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე. ყველა ეგზემპლარი შესაბამისად იყო აღრიცხული, დანომრილი და განთავსებული. წიგნები დამუშავებულია შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია პერიოდიკა: • ჟურნალი ,,ზუგდიდელები“ • ჟურნალი ,,ისტორიული მემკვიდრეობა“ • გაზეთი ,,საფარველი“ მასწავლებლებისთვის განკუთვნილი მეთოდური ლიტერატურა ან საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ ინახება. გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებლები ძირითადად სარგებლობენ ელექტრონული ვერსიებით. ბიბლიოთეკაში შექმნილია მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები - მკითხველი ფორმულარი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 20 სექტემბერს N01-04/12 ბრძანებით. დებულება თვალსაჩინოდ არის გამოკრული. გარდა ამისა კედელზე თვალსაჩინოდ არის განთავსებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი მკითხველებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ბიბლიოთეკის დებულება; 2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ; 3. ინვენტარიზაციის წიგნი 4. წიგნების შესყიდვისა და ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 5. ბიბლიოთეკართან გასაუბრება; 6. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის (მიმდინარე სასწავლო წლისთვის სსსმ მოსწავლე ან შშმ პირი სკოლაში არ ირიცხება); მოწყობილია სტაციონარული პანდუსი სკოლის მთავარ შესასვლელთან, შიდა კიბეებისათვის დამზადებულია ლითონის ასაკეცი პანდუსები, რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ. ეს პანდუსები სკოლას გადმოცემული აქვს საკუთრებაში დამფუძნებლისგან. პირველივე სართულზე როგორც ბიჭების, ისე გოგონების სველ წერტილებში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. ხელსაბანი ნიჟარები ისეა მოწყობილი რომ თავისუფლად ისარგებლებს როგორც ზრდასრული, ასევე ეტლით მოსარგებლე პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; 2. პანდუსების გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. 3. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ინტერნეტქსელში ჩართული 12 კომპიუტერი, 5 ლეპტოპი, 5 - კომბაინი, 18 –ელექტრონული დაფა (ჭკვიანი დაფა), 16 - მონიტორი (ტელევიზორი). ყველა საკლასო ოთახი და კაბინეტი აღჭურვილია სათანადო რაოდენობის ინვენტარით (მერხი, სკამი, მასწავლებლის მაგიდა, დაფა). შენობაში განთავსებულია: დირექტორის კაბინეტი - 2 პერსონალური კომპიუტერი კანცელარია - 2 პერსონალური კომპიუტერი + 2 კომბაინი, ბიბლიოთეკა, 1 კომპიუტერი + 1 კომბაინი. სკოლის ვებგვერდი -http://www.gg-school.ge - ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. დაწესებულება იყენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ელექტრონულ ჟურნალს, რომელ მშობლების ინფორმირებისა და მათთან უწყვეტი კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება ასევე იყენებს ელექტრონული ჟურნალის სისტემას. დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა საჭირო კომპიუტერული ტექნიკა. პერსონალური კომპიუტერი - 12 ლეპტოპი - 5 პროექტორი - 1 მონიტორი (ტელევიზორი) - 16 ელექტრონული დაფა - 18 მულტიფუნქციური პრინტერი (კომბაინი) – 5 ყველა ტექნიკა დაწესებულებას გადმოცემული აქვს სარგებლობის უფლებით დამფუძნებლისგან. ამას ადასტურებს შესაბამისი მინდობის ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. მინდობის ხელშეკრულებები; 2. საკუთრებაში გადმოცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 4. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,, შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. 0აქვს შესათანხმებლად:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლამ დამატებით წარმოადგინა 2019 წლის პირველ მარტს საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი კორესპონდენცია 01-02/24, სადაც ითხოვდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შუამდგომლობას პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ კორესპონდენციაზე სკოლას პასუხი არ მიუღია. 2022 წლის 20 იანვარს N01-02/128 კორესპონდენციით სკოლამ იგივე თხოვნით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს. სკოლას აქვს შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების პროექტი, რომელიც წარდგენილი აქვთ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში. სააგენტომ დაამტკიცა პროექტი, რომელიც სკოლის ადმინისტრაციამ წარადგინა. ეს დასტურდება 2022 წლის 11 ნოემბრის MIA 62203176956 კორესპონდენციით. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი არ არის შეთანხმებული, ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, სულ 25 ცალი. არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია -ჯიჯის „ საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის სამოქმედო გეგმა. ბრძანება N01-04/05 05.09.2022 წელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კორესპონდენცია 1.03.2019 წელი, N 01-02/24 • კორესპონდენცია 20.01.2022 წელი, **N01-02/128** • 2022 წლის 11 ნოემბრის MIA 62203176956 კორესპონდენცია.. • ვიზუალური დათვალიერება; • შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია -ჯიჯის „ საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობების ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. საევაკუაციო გეგმები დამზადებულია შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული ორგანოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბუღალტრო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას პირველ სართულზე მოწყობილი ჰქონდა სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო პაციენტის გასასინჯი ტახტი, კარადა სამედიცინო ხელსაწყოების შესანახად, სხვა სამედიცინო ინვენტარი. კაბინეტი აღჭურვილია ასევე სველი წერტილით და მაცივარით. დაწესებულებას არ ჰქონდა საკაცე, რაც აუცილებელი მოთხოვნაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო კაბინეტებისთვის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მოახდინა სამედიცინო კაბინეტის სრულფასოვნად აღჭურვა, კერძოდ დაწესებულებამ შეიძინა საკაცე, რასაც ადასტურებს შესაბამისი შესყიდვის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტი და გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ეტაპზე, სამედიცინო ოთახის პარამეტრები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ოთახის სივრცე 12 კვ.მ -ზე მეტია, ინახება შესაბამისი მედიკამენტები, საზომი ხელსაწყოები და სამედიცინო ჩანთა სრულად არ არის აღჭურვილი წესში განსაზღვრული სამედიცინო ინვენტარით. კერძოდ, წარმოდგენილი სტანდარტული საკაცე და პაციენტის გასასინჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტახტი და ა.შ. დაწესებულებაში დასაქმებულია ერთი სამედიცინო პერსონალი ექიმის პოზიციაზე. ეს დგინდება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. კვალიფიკაციის შესწავლისას დადგინდა, რომ დასაქმებული არის დიპლომირებული ექიმი. თუმცა, პირადი საქმისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლით ვერ მოხერხდა ექიმის კვალიფიკაციის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან - ა) „პედიატრია"; ბ) „საოჯახო მედიცინა"; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი - შესაბამისობის დადგენა. ხარვეზის გასასწორებლად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ. ადამიანური რესურსის სტანდარტის ნაწილში (ქვესტანდარტი 3.1), დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. ამასთან ამავე ბრძანების შესაბამისად, ვინაიდან სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 50- ზე მეტია, აუცილებელია დასაქმებული იყოს 1 ექიმი. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და მისი ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შექმნის/გასაუბრების თარიღის განსაზღვრის შესახებ, რომლითაც დგინდება, რომ გამოაცხადა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე და გაუგზავნა რესურსცენტრს შეტყობინება საკონკურსო კომისიაში რესურსცენტრის წარმომადგენლის ჩართვის თაობაზე. სამედიცინო კაბინეტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არსებული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას შინაგანაწესში აქვს განსაზღვრულია თუ როგორ მოქმედებს სკოლა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ექიმთან გასაუბრება; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; 5. სკოლის დირექტორის ბრძანება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების წევრების პასუხისმგებლობები, დისციპლინური წარმოების წესი, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის დროს რეაგირების ფორმები. დაწესებულებაში დასაქმებულია უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს წესრიგის დაცვას, მოსწავლეთა გადაადგილებას, ვიზიტორთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლას, აკონტროლებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებს, თანამშრომელთა შრომის დაცულობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების შინაგანაწესში ფიქსირდება შემდეგი მუხლი: მუხლი 36. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „წესრიგისა და უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის მექანიზმები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ არის შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი კორესპონდენცია სადაც ითხოვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შუამდგომლობას 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმებას. **ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა შემდეგი: უსაფრთხოების ნაწილში სკოლის შენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან სკოლის სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ფართი და მესამე/მეოთხე სართულზე განთავსებული აკადემიური სასტუმროს ფართი.** **დაწესებულების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგი იყო: მათი განმარტებით, ზედა სართულის სივრცეებს მხოლოდ ზაფხულობით იყენებდნენ, რაც დადასტურდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმებით.** **სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო აგრეთვე, 2019 წელს შედგენილი დოკუმენტი: „დებულება აკადემიური სასტუმროს ფუნქციონირების შესახებ“.** **დოკუმენტში ორი მუხლია:** **1. ზოგადი დებულებები:** **2. აკადემიურ სასტუმროში განთავსებული პირის ვალდებულებები.** **ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ მესამე/მეოთხე სართულებს ნამდვილად აქვს სასტუმროს ფუნქცია. თუმცა, დაიშვებიან ვიზიტორები, რომლებსაც აქვთ აკადემიური სტატუსი. კერძოდ: გიმნაზიაში მივლინებული აკადემიური პირები, გაცვლითი პროგრამების, ოლიმპიადების, ფესტივალების და სხვა საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ღონისძიებების მონაწილეები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აკადემიური სასტუმროს კომერციული მიზნებისთვის გამოყენება აკრძალულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აკადემიური სასტუმროში განთავსებული პირების ვალდებულებებში იკითხება, რომ სასტუმროში განთავსებული პირები უნდა დაემორჩილონ გიმნაზიის შინაგანაწესს და პატივი სცენ მომსახურე პერსონალსა და თანამშრომლებს. **ვიზიტის დროს სკოლის ფასადზე განთავსებულმა აბრამაც, დაადასტურა, რომ დაწესებულება ზემოაღნიშნულ სივრცეს იყენებს „ჯიჯი-სასტუმროს“ ფუნქციონირებისათვის.** **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა იმაში, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოება სკოლის შენობის ამგვარი მოწყობის პირობებში, სრულად დაცულია.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ჯიჯი - ს შინაგანაწესი; 2. ხელშეკრულებები; 3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ჯიჯის აქვს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. შენობაში დამონტაჟებულია 15 ვიდეო-კამერა, სკოლის მთავარ შესასვლელთან - 4 გარე კამერა, ერთი შიდა კამერა, რომელიც აკონტროლებს უშუალოდ შესასვლელ კარს, ყველა სართულზე, ორ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ორი კამერა. სარელაქსაციო სივრცეში ერთი კამერა, გარე კამერებით გადაცემული კადრები უხარვეზოდ აისახება ფოიეში განთავსებულ მონიტორებზე, რომელსაც აკონტროლებს დაცვა. დანარჩენი კამერებიც ასახულია მონიტორებზე, რომელიც ასევე არის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში განთავსებული. ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა, რომ კლასებში განთავსებული იყო ვიდეოთვალები, სადაც აისახებოდა საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობა. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე განახორციელა ვიდეო თვალების დემონტაჟი. ადგილზევე აღმოიფხვრა ეს პრობლემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. კამერების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება; დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა **წესდება,** რომელიც ახალი რედაქციით შემუშავებულია 2017 წელს. დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით, 5.09.2022 წელს დამტკიცებული აქვს **შინაგანაწესი,** რომელიც აზუსტებს სკოლის მართვის სტრუქტურას, თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სამსახურში მიღების, გათავისუფლებისა და შვებულებით სარგებლობის წესებს და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. შინაგანაწესი დამტკიცებულია დირექტორის 01.04/01 ბრძანებით. დოკუმენტი შემუშავებულია პედაგოგიური საბჭოს ჩართულობით, რასაც ადასტურებს ოქმი N01. შინაგანაწესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **დებულება,** რომელიც დამტკიცებულია 2017 წლის 30 იანვარს, სკოლის დირექტორის 01-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	04/02 ბრძანებით. დებულებაში განსაზღვრულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის შინაგანაწესი; 2. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის წესდება; 3. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის წესდება; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი გეგმა. როგორც სტრატეგიულ გეგმაშია განმარტებული, სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების, საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი) საფუძველზე. წარმოდგენილ SWOT-ანალიზში არ იყო წარმოდგენილი სკოლის შესაძლებლობები და საფრთხეები (გარე ფაქტორები). ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა ანალიზის სრული ფორმა, თუმცა დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ უფრო სიღრმისეულად ემუშავათ მომავალში SWOT ანალიზზე. დეკლარირებული მისიისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში, გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში (2022-2028) დაწესებულებას გამოკვეთილი აქვს საშუალო ვადიანი (უახლოესი სამი წლის განმავლობაში მისაღწევი) მიზნები და გრძელვადიანი მიზნები. **საშუალოვადიანი (უახლოესი სამი წლის განმავლობაში მისაღწევი) მიზნები:** • გიმნაზიის ინფრასტრუქტურული განვითარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სამასწავლებლო ფართის კეთილმოწყობა, სამუშაო პირობების შექმნის უზრუნველყოფა; • მოსწავლეთა კონტიგენტის ეტაპორივი ზრდა; • საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება; • სპორტული დარბაზისა და მოედნების განვითარება; • საგნობრივი, საგანთა ჯგუფის სასწავლო კაბინეტების თვალსაჩინოებებითა და სხვა საჭირო ინვენტარის განვითარება; • მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა და მუდმივი გადამზადება; • ინკლუზიური სწავლების განხორციელებისთვის მუდმივი მზაობა; • პროექტული საქმიანობის განვითარება; • წარმატებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, ღონისძიებებში მონაწილეობა. • პროექტული პროგრამების უზრუნველყოფა და მოსწავლეთა წარმატება; • კურსდამთავრებულთა წარმატება -ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა **გრძელვადიანი მიზნებია:** • გიმნაზიის ორგანიზაციული განვითარება; • სწავლა - სწავლების ხარისხის განვითარება; • გიმნაზიის მმართველობაში, მაღალზნეობრივ ფასეულობებსა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, კორპორატიული კულტურის დამკვიდრება; • საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება; • გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; • თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება **ჩაშლილად სტრატეგიული მიზნები იკითხება მხოლოდ შესრულების გეგმა გრაფიკში. ესენია:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1. ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა 2. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; 3. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; 4. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო. მიუხედავად იმისა, რომ მეორე და მესამე სტრატეგიული მიზანი იდენტურია, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მიღწევის გზები. მაგალითად, მეორე სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია სკოლის მისია/ხედვასთან, სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებული აქტივობები, ხოლო მესამე მიზანში განსაზღვრულია კურიკულუმთან დაკავშირებული აქტივობები. წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის შესრულების გრაფიკი შემდეგი ექვსი წლის განმავლობაში. გეგმა გრაფიკი აზუსტებს განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. დოკუმენტი: ,,შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი ერთწლიანი განვითარების გეგმა (2022 წელი)“ და შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი ერთწლიანი განვითარების გეგმა (2023 წელი) დამტკიცებულია შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის დირექტორის 05.09.2022 წლის N 01.04/04. ბრძანებით . 2022 წლის გეგმაში ჩაშლილია შემდეგი 5 მიმართულება: 1. სასწავლო პროცესის ორგანიზება; 2. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება 3. მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება 4. მართვისა და სარეკლამო პოლიტიკის სისტემატიზაცია 5. მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და გაუმჯობესება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2022 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ვადები. 2023 წლის გეგმაში ჩაშლილია შემდეგი 2 მიმართულება: 1. სასწავლო პროცესის ორგანიზება 2. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება 2023 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული არ არის პასუხისმგებელი პირები. გრაფიკში წარმოდგენილია შესრულების დრო. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია: სტრატეგიული გეგმა უნდა ეყრდნობოდეს SWOT ანალიზს, სასურველია წარმოდგენილი იყოს ნარატიული ფორმით, რათა უფრო ნათლად იქნეს დასაბუთებული სტრატეგიული მიზნების პრიორიტეტულობა და რელევანტურობა. უნდა ჩანდეს რაზე დაყრდნობით არის შერჩეული ესა თუ ის სტრატეგიული მიზანი. სასურველია იკვეთებოდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გეგმის შემუშავების პროცესში. სტრატეგიულ გეგმაში სასურველია წარმოდგენელი იყოს მოსალოდნელი შედეგები თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის. მიზნები უნდა იყოს უფრო ნათელი. გამომდინარეობს სკოლის მისია/ხედვიდან, როგორც ეს არის მოთხოვნილი სტანდარტში. სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, თუმცა მასში ასახული უნდა იყოს მიმდინარე წლის პრიორიტეტები და გამოწვევები. სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. წინა სასწავლო წლის შესრულების ანგარიშების საფუძველზე. წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ ჩანს რაზე დაყრდნობით შემუშავდა და კონკრეტულად რომელი სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა პრიორიტეტებად. სასურველია, რომ სკოლამ სამომავლოდ გაითვალისწინოს ეს ფაქტი და სამოქმედო გეგმის შედგენისას დასაბუთებულად წარმოადგინონ მიმდინარე წლის პრიორიტეტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი ერთწლიანი განვითარების გეგმა (2022 წელი) 3. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯი ერთწლიანი განვითარების გეგმა (2023 წელი) 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საქმისწარმოების წესის მიხედვით: ,,.შპს „ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ საქმის წარმოების წესები“ . დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N01-04/01, 25.01.2018 წელი. დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზების წესი, დოკუმენტებზე მუშაობის (აღრიცხვა მოძრაობა, გაფორმება) წესი, დირექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების წესი. საქმისწარმოების წესი ასევე აზუსტებს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის წესს დისტანციური სწავლების დროს. ვიზიტის დროს შერჩევით გადამოწმდა კორესპონდენციები და ბრძანებები. კერძოდ იყო თუ არა შემუშავებული წესის შესაბამისად აღრიცხული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სარეგისტრაციო ჟურნალების შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე, რომელიც იყო შემუშავებული წესის შესაბამისად ნაწარმოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ,,.შპს „ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის“ საქმის წარმოების წესები“ . დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N01-04/01, 25.01.2018 წელი. 2. შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; 4. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; 5. თანამშრომელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; 6. მშობელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	სკოლის შენობა უნდა მოეწყოს იმგვარად, რომ დაცული იქნას მოსწავლეთა უსაფრთხოება.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	*სკოლის შენობის მე - 3 და მე - 4 სართულზე განლაგებულია მოწვეული მასწავლებლებისათვის და/ან ტრენერებისათვის განკუთვნილი სასტუმრო, სადაც განთავსებულია საძინებლები და მოსასვენებელი ოთახები. ზემოაღნიშნული სივრცე არ არის გამიჯნული. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოება არ არის დაცული.*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, საშტატო განრიგი დამტკიცებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულების დირექტორის N1.04/03, 05.09.2022წ. ბრძანებით და მოიცავს შემდეგ საშტატო ერთეულებს: 1. შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, დირექტორი; 2. გიმნაზიის დირექტორი; 3. ბუღალტერი; 4. სადამრიგებლო პროგრამების და უცხოური ენების კათედრის ხელმძღვანელი; 5. საქმისმწარმოებელი/ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი; 6. ექიმი; 7. ბიბლიოთეკარი; 8. IT სპეციალისტი; 9. სამეურნეო/ტექნიკური უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; 10. დაცვა/დარაჯი (2 საშტატო ერთეული); 11. მუშა; 12. დასუფთავება (2 საშტატო ერთეული); 13. მასწავლებლები; 14. დამხმარე მასწავლებელი/ტუტორ დამრიგებელი; 15. მასწავლებელი/სპორტისა და ესთეტიკური კათედრის ხელმძღვანელი; 16. მასწავლებელი/ზუსტი და საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელი; 17. მასწავლებელი/საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი; 18. ცეკვის წრის ხელმძღვანელი. მიმდინარე წლის 31 იანვრის სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool - ის მონაცემების საფუძველზე, სკოლაში 40 თანამშრომელი, მათ შორის 23 მასწავლებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool - ის პორტირებული მონაცემები; • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	2 (მოწვეული)
პრაქტიკოსი მასწავლებლი	1
უფროსი მასწავლებლი	15
წამყვანი მასწავლებლი	3
მენტორის სტატუსი	2

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და შესაბამისობა დაკავებულ სტატუსთან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი პედაგოგის, კერძოდ, თ. ნ. პირადი საქმე. როგორც ირკვევა, ზემოაღნიშნულ მასწავლებელს 10 კრედიტზე აქვს ჩაბარებული საგნობრივი კომპეტენცია, აგრეთვე, უდასტურდება 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა, რომლის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი პედაგოგის მიერ წარმოდგენილ იქნა მიმდინარე სემესტრში. ვიზიტის პერიოდში სკოლამ მიმართა ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს შუამდგომლობის წერილით N01-02/130, 31.01.2023წ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებლისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პირადი საქმეები; • სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool - ის პორტირებული მონაცემები; • შუამდგომლობის წერილი ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრს N01-02/130, 31.01.2023წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯიში,, ვაკანტური ადგილების შევსება ხორციელდება დაწესებულების შინაგანაწესის საფუძველზე (მუხლი 6) და თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან". კერძოდ, განცხადების გავრცელება გიმნაზიის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება ელექტრონული, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით: https://teacherjobs.ge/-ზე. პედაგოგის/თანამშრომლის შერჩევის მიზნით, ჯიჯი გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. ჩანაწერის თანახმად, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს სამოდელო გაკვეთილის ჩატარება. შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე, კანდიდატი ვალდებულია ჯიჯი გიმნაზიაში წარადგინოს გარკვეული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში შეისწავლეს მასწავლებელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, ისინი შეიცავენ კანონით დადგენილ ყველა საჭირო დოკუმენტს, მათ შორის ცნობებს ნასამართლობის შესახებ და ცნობებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის. შინაგანაწესის მე -17 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მექანიზმებს. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინფორმაცია წახალისების ფორმების და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ წარმოდგენილია შინაგანაწესის მე - 7 თავში. როგორც ირკვევა, დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რომელიც ფორმდება ბრძანებით და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში. სასწავლო ნაწილი და ადმინისტრაციის სხვა წევრები, ასევე პედაგოგიური საბჭოც უფლებამოსილია წერილობით მიმართონ დაწესებულების დირექტორს დასაქმებულის წახალისების თხოვნით. დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში დისციპლინური გადაცდომისთვის დასაქმებულისათვის დაკისრებული სახდელების ნუსხაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, შინაგანაწესი; • პედაგოგთა პირადი საქმეები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის,, ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში მასწავლებელთა სტატუსები მითითებულია მე-11 მუხლში - ,,შეთანხმება მასწავლებლის სტატუსით განსაზღვრულ ვალდებულებებზე“. სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები არასრულად არის წარმოდგენილი და ფუნქციათა რაოდენობა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ, 20/08/2019წ. ბრძანების ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ,, 11[1] მუხლის მე - 7 და მე - 8 პუნქტებთან. ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, რეკომენდირებულია მე-2 მუხლშიც (,,ხელშეკრულების საგანი“), მითითებულ იქნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლის სტატუსი (გარკვეულ შემთხვევებში ფიქსირდება, მაგალითად, მოწვეული მასწავლებლის შემთხვევაში). გარდა ამისა, რიგ ხელშეკრულებებში გარკვეული ხარვეზებია კერძოდ, საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის განკუთვნილი ვალდებულებები ფიქსირდება ხელშეკრულების 3.1.4; 3.3.1; 3.4.5, 9.4.1 ქვეპუნქტებში. ხელშეკრულებაში მითითებულია, აგრეთვე, რომ მასწავლებლების შრომის ანაზღაურება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N126/ნ, 28/09/2015წ. - ,, საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე", რის შესახებაც დირექციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თანამდებობრივი სარგოს დაანგარიშება სწორედ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • ინტერვიუ სკოლაში დასაქმებულ პირებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის,, შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით, ,,ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მათი შეფასების წესი,,. როგორც ირკვევა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ხარისხის მართვის ჯგუფი, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახდენს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის სისტემატურ შეფასებას, საჭიროებების დადგენას და გაუმჯობესების გზების ძიებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროფესიულ განვითარებას ექვემდებარებიან სკოლის სხვა თანამშრომლებიც, რაც დადასტურდა ინტერვიუირების პროცესში. შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის“ შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. 2022-2023 სასწავლო წლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა მოიცავს დროში გაწერილი ღონისძიებების და აქტივობების ჩამონათვალს, ასევე, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. გეგმა ითვალისწინებს - მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიების განსაზღვრას, სწავლების საფეხურის მიზნების შესაბამისად მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების კვლევას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია-ჯიჯის,, ,,ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები და მათი შეფასების წესი,,. • ,,ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება,,, • 2022-2023 სასწავლო წლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულებაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თვითრეგულირებადი დისციპლინისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. მოსწავლეების მშობლები ინტერვიუირების პროცესში ადასტურებენ, რომ სკოლის თანამშრომელთა მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი დამოკიდებულება, დადებითად აისახება მათი შვილების განვითარებაზე - აქცენტი არაფორმალურ განათლებაზე, ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. მოსწავლეები საუბრისას აღნიშნავენ, რომ უხარიათ სკოლაში სიარული, რადგან სასწავლო პროცესი მათთვის საინტერესო და შემეცნებითია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

....

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი: 10.03.2023წ.
გვერდების რაოდენობა: 59 (ორმოცდაცხრამეტი) გვერდი.
დანართი: 179 (ასსამოცდაცხრამეტი) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.